DOI: 10.51364/26679604.jcpr.2021.v02i02.002

ხათუნა ბაინდურაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი,
საქართველო
baindurashvilikhatuna@yahoo.com

ქართველებისა და ისმაილიტების ურთიერთობის ისტორიიდან

ჩვენი კვლევის მიზანია, სპარსული და ქართული საისტორიო ცნობების საფუძველზე, დეტალურად შევეხოთ ქართველებსა და ისმაილიტებს შორის არსებულ ურთიერთობებს. წარმოვაჩინოთ ის ინფორმაციულობა და დამოკიდებულება, რაც ქართველებს ისლამის ამ მიმდინარეობის მიმართ ჰქონდათ; შევისწავლოთ თბილისში ასასინების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზი. ალამუთელ ისმაილიტებსა და ქართველებს შორის მომხდარი დაპირისპირების გეოგრაფიული არეალი.

საკვანძო სიტყვები: ისმაილიტები, ისლამი, საქართველოს ისტორია

აღმოსავლეთისა და ისლამის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისმაილიზმის[1] შესწავლას (ჯაფარიძე 1999, 22-23; Гольдциер 1912, 226; სანიკიძე 1999(1), 88-101; ნარიმანიშვილი 2006, 103-110). ისლამში წარმოშობილმა ამ მიმდინარეობამ, როგორც რელიგიურმა და პოლიტიკურმა მოვლენამ, უდიდესი გავლენა იქონია ირანის, ერაყის, სირიისა და ეგვიპტის სახელმწიფოების პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცხოვრებაზე.

1 გ. ჯაფარიძე, ალიდები, ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999, გვ. 22-23; Гольдциер, И., Лекции об Исламе, СПБ., 1912, გვ. 226; გ. სანიკიძე, ისმაილიანთა იმამათის დოქტრინა და მისი პოლიტიკური ასპექტები, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, II, თბ., ქრონოგრაფი, 1999 (1) გვ. 88-101; გ. ნარიმანიშვილი, ისმაილიზმის წარმოშობის ისტორიისთვის, პერსპექტივა XXI, VIII (2), თბ., 2006, გვ. 103-110.

ჩვენი კვლევის მიზანია, სპარსული და ქართული საისტორიო ცნობების საფუძველზე, დეტალურად შევეხოთ ქართველებსა და ისმაილიტებს შორის არსებულ ურთიერთობებს. წარმოვაჩინოთ ის ინფორმაციულობა და დამოკიდებულება, რაც ქართველებს ისლამის ამ მიმდინარეობის მიმართ ჰქონდათ; შევისწავლოთ თბილისში ასასინების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზი. ალამუთელ ისმაილიტებსა და ქართველებს შორის მომხდარი დაპირისპირების გეოგრაფიული არეალი.

საკითხის კვლევისას გამოყენებულია წყაროთა ურთიერთშედარების, კრიტიკული და კომპლექსური ანალიზის მეთოდები.

ირანში ისმაილიტების საქმიანობის, მათი სახელმწიფოს არსებობის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყველა ავტორიტეტული სპარსულენოვანი ისტორიკოსი, როგორიცაა რაშიდ ად-დინი, ჯუვეინი, მირხონდი, (საყურადღებოა ასევე იბნ ალ-ასირის ცნობები), საგანგებოდ წერენ მათ შესახებ. ისტორიკოსები ცნობებს გვაწვდიან ჰასან იბნ საბაჰის წარმომავლობის, მისი ცხოვრების ყველა ეტაპისა და ისმაილიტთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების, მათი სასულიერო-პოლიტიკური იერარქიის, ისმაილიტური მოძღვრების, ცხოვრებისა და მოქმედების წესების შესახებ. განიხილავენ ასასინთა მიერ ორგანიზებული მკვლელობების სტრატეგიას, მეთოდებსა და მათი მოქმედებების გეოგრაფიულ არეალს.

ისლამში ისმაილიზმი VIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა. შიიტების მეექვსე იმამმა – ჯაფარ ას-სადიკმა, საკუთარ მემკვიდრედ და მეშვიდე იმამად თავისი უფროსი ვაჟის – ისმაილის (გარდ. 762 წ.) ნაცვლად უმცროსი ვაჟი – მუსა ალ-ქაზიმი (გარდ. 799 წ.) დაასახელა. ჯაფარ ას-სადიკის გადაწყვეტილებითა და პოლიტიკური პასიურობით უკმაყოფილო შიიტების ნაწილი მას განუდგა და მეშვიდე იმამად ნაადრევად გარდაცვლილი ისმაილის ვაჟი – მუჰამმადი აღიარა. მათ კარმატები („ალ-კარამიტა“ – დამაარსებელი ჰამდან კარმატი) ეწოდათ[1] (Строева 1978, 32; სანიკიძე 1999(2), 103-104; ნარიმანიშვილი 2006, 103-104; F. Daftary 2012, 34).

910 წელს ისმაილიტმა მისიონერმა, უბაიდ ალლაჰ ალ-მაჰდიმ (უბაიდულა) (910-934 წწ.), რომელიც თავს ჯაფარ ას-სადიკის შთამომავლად აცხადებდა, თავი იმამად გამოაცხადა და ჩრდილოეთ აფრიკაში ისმაილიტ ფატიმიანთა სახალიფო (910-1171 წწ.) შექმნა[2] (ტიკაძე 2008, 152). 969 წ. ფატიმიანებმა ეგვიპტე და მალევე სამხრეთ სირიაც დაიპყრეს. მათ ოფიციალურ რელიგიად ისმაილიზმი გამოაცხადეს. ფატიმიანთა ხანაში ისმაიტელთა იდეოლოგიურმა სისტე-

1 Строева Л. В., Государство Исмаилитов В Иране в XI-XIII вв. М., 1978, გვ. 32; გ. სანიკიძე, ისმაილიტები, ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999 (2) , გვ. 103-104; გ. ნარიმანიშვილი, ისმაილიზმის წარმოშობის ისტორიისთვის, პერსპექტივა XXI, VIII (2), თბ., 2006, გვ. 103-104; F. Daftary, Historical Dictionary of the Ismailis, Toronto, 2012, გვ. 34 .

2 მ. ტიკაძე, არაბეთის ისტორია, თბ., 2008, გვ. 152.

მამ დასრულებული სახე მიიღო[1] (Строева 1978, 32; სანიკიძე 1999(2), 103-104).

ფატიმიანთა ხელისუფლებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი იდეოლოგიის გავრცელებას. ამისათვის ისინი სპეციალური სამოხელეო შტატის – დაიების საშუალებით ფართო აგიტაციას ეწეოდნენ. როგორც ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, XI საუკუნის შუა ხანებიდან ფატიმიანთა და'იები წარმატებით ახერხებდნენ პროპაგანდისტულ მოღვაწეობას საკმაოდ შორ ტერიტორიებზე, მათ შორის თბილისის საამიროშიც[2] (გაბაშვილი 2016, 175; ნარიმანიშვილი 2006, 108-109; F. Daftary 2012, 36-40; ismailis). ისმაილიტთა ისტორიის მკვლევარი მარშალ ჰოდგსონი ეყრდნობა რა რაშიდ ად-დინისა და ჯუვეინის ცნობებს, ასევე ჰასან იბნ-საბაჰის მემუარებს, წერს, რომ XI საუკუნის 50-იან წლებში ფატიმიანმა ხალიფამ ნასირი ხოსრო ხორასნისა და გურჯისტანის ჰუჯათად დანიშნა[3] (Hodgson 1955, 43-44; Nanji 1999, 1006). ამ აზრს იზიარებს ვ. გაბაშვილი. მეცნიერი ნასირი ხოსროს ბიოგრაფიულ ცნობებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ იგი 1052 წ. ხორასნისა და გურჯისტანის ჰუჯათის თანამდებობაზე დაინიშნა და დასძენს, „... ნასირი ხოსროს, როგორც საქართველოს ჰუჯათს (მთავარი დაი – ხ. ბ.) მეთვალყურეობა უნდა გაეწია თბილისის საამიროში მოღვაწე „დაიებისათვის"[4] (გაბაშვილი 2016, 175).

ვ. გაბაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გურჯისტანი და ხორასნის უკიდურესი სამხრეთ პროვინცია გარჯისტანი არაბულად ერთნაირად იწერება. იქიდან გამომდინარე, რომ გარჯისტანი აღნიშნულ პერიოდში ხორასნის პროვინციის შემადგენლობაში იყო, ვ. გაბაშვილი ცალ-ცალკე მათ მოხსენიებას გამორიცხავს და წერს, რომ სწორედ გურჯისტანზეა საუბარი[5] (გაბაშვილი 2016, 175-176). აზრის გასამყარებლად, ქართველი მეცნიერი ა. ბერტელსის ნაშრომზე დაყრდნობით, იმაზეც მიუთითებს, რომ ფატიმიანებმა მთელი მსოფლიო 12 ჯაზირად (ოლქად) დაყვეს

1 Строева Л. В., Государство Исмаилитов В Иране в XI-XIII вв. М., 1978, გვ. 32; გ. სანიკიძე, ისმაილიტები, ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999 (2) , გვ. 103-104.

2 ვ. გაბაშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.), „ვალერიან გაბაშვილი, სტატიების კრებული," I, თბ., 2016, გვ. 175 (გვ. 167-181) გ. ნარიმანიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 108-109; https://www.iis.ac.uk/academic-article/ismailis-history-ბოლო ნახვა-29/01/2021; F. Daftary, Historical Dictionary of the Ismailis, გვ. 36-40.

3 Hodgson, M. C. S. 1955. The Order of the Assassins, Struggle of the early Nizari Ismailis against the Islamic world. University of chicago, გვ. 43-44, 69; A. Nanji, Nasir-i Khusraw, The Encyclopedia of Islam, vol. VII, ed. C.E. Bosworth, E. Van Donzel, W.P. Heinrichs and CH. Pellat, Brill, 1991, გვ. 1006 https://en.wikipedia.org/wiki/Nasir_Khusraw-ბოლო ნახვა - 13. 02. 2021.

4 ვ. გაბაშვილი, 2016. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI- XII სს.), გვ. 175.

5 გაბაშვილი, ვ. 2016. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI- XII სს.). „ვალერიან გაბაშვილი," სტატიების კრებული, I. თბ. 175-176.

და მათ სათავეში ჰუჯათები დანიშნეს, რომლებიც მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე მოღვაწე დაიების პროპაგანდისტულ საქმიანობას თვალყურს ადევნებდნენ[1] (Бертельс 1959, 175, 184). ვ. გაბაშვილის მოსაზრება გასათვალისწინებელია, თუმცა, ჩნდება კითხვა, რამდენად იყო შესაძლებელი გეოგრაფიულად ერთმანეთისგან ასეთ შორ მანძილზე არსებული ტერიტორიების – ხორასნისა და გურჯისტანის ერთ ჯაზირაში გაერთიანება? ჩვენს ეჭვს ამყარებს ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში,[2] (Nasir_Khusraw) ნასირი ხოსრო მხოლოდ ხორასნის ჰუჯათად არის დასახელებული, რაც იმითაა გაპირობებული, რომ გარჯისტანი სხვა ტერიტორიების მსგავსად, XI საუკუნის 50-იან წლებში ხორასნის უზარმაზარი ოლქის შემადგენლობაში იყო. აქედან გამომდინარე, ნასირი ხოსროს გურჯისტანის ჰუჯათად დანიშვნის საკითხი ცალსახად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ისმაილიზმის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰასან იბნ-საბაჰის მოღვაწეობა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა აღნიშნული სექტისა და ირანის ისტორიის ახალი ეტაპის დაწყებაში. განვიხილავთ მისი საქმიანობის ძირითად მომენტებს, რაც წარმოაჩენს იმ რელიგიურ და პოლიტიკურ სიტუაციას, რაც საქართველოს მეზობლად იყო შექმნილი და რაც განაპირობებდა ქართველებსა და ისმაილიტებს შორის ურთიერთობას.

XI ს-ის ბოლოს ეგვიპტის ფატიმიანმა ხალიფა მუსტანსირმა (1036-1094 წწ.) თავის უფროს ვაჟს – ნიზარს მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვა და უმცროს ვაჟს – ალ-მუსტალის გადასცა. მამის გარდაცვალების შემდეგ ნიზარმა ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო ძმის წინააღმდეგ, თუმცა იგი დაატყვევეს და 1094 წ. სიკვდილით დასაჯეს. ამ ფაქტმა ისმაილიტებში განხეთქილება გამოიწვია.

ჰასან იბნ-საბაჰმა, იქიდან გამომდინარე, რომ სელჩუკთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში ფატიმიანი ისმაილიტების დახმარების იმედი აღარ ჰქონდა, 1094 წ. მხარი ნიზარის იმამათს დაუჭირა და ამით ფატიმიანებს დაუპირისპირდა. ირანელ ისმაილიტებს ნიზარიტები (ხოლო ეგვიპტელებს – მუსთალიტები) ეწოდათ.[3]

---

1 А. Е. Бертельс, Насир-и-Хосров и Исмаилизм, Москва, Восточная литература, 1959, გვ. 175, 184

2 https://iphras.ru/uplfile/Korneeva/nasir_khusraw_life_a.pdf; https://www.academia.edu/35040021/Nasir_Khusraw_Life_and_Works_of_Ismaili_Philosopher –ბოლო ნახვა 21.01. 2021

3 Строева Л. В., Государства Исмаилитов в Иране в XI-XIII вв., 1978, გვ. 47; https://www.iis.ac.uk/academic-article/ismailis-history-ბოლო ნახვა-29/01/2021; Строева Л. В., Государства Исмаилитов в Иране в XI-XIII вв., გვ. 34, 40-49, 61-63; https://www.iis.ac.uk/academic-article/ismailis-history-ბოლო ნახვა-29/01/2021; Historical Dictionary of the Ismailis, გვ. 40-44 – https://archive.org/details/HistoricalDictionaryOfTheIsmailis/page/n33/mode/2up;

كتاب بهادايت المؤمنين الطالبان معروف بتأريخ اسمعيليه، تأليف محمد بد زين العابدين, ٨١-٩٦, ١٠٢, გვ.

1090 წლის 4 სექტემბერს ჰასან იბნ საბაჰმა ალამუთის ციხე უბრძოლველად დაიკავა და ირანში, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში შექმნა ისმაილიტთა სახელმწიფო ცენტრით ალამუთში. ნიზარიტების (//ალამუთის) სახელმწიფო ირანში მოიცავდა დეილემისა და ქუჰისტანის ტერიტორიებს. ალამუთის მოსახლეობა ისმაილიტებს მიემხრო. ჰასან იბნ საბაჰის მთავარი მიზანი ირანში სუნიტ თურქ-სელჩუკთა ბატონობის დამხობა იყო.[1]

ჰასან იბნ საბაჰმა საკუთარი პოლიტიკური და სოციალური იდეები ჩამოაყალიბა თავის რელიგიურ მოძღვრებაში _ `დავათ-ე ჯადიდში" („ახალი მოწოდება).[2] მისი ეს მოძღვრება დაუპირისპირდა ფატიმიანთა „დავათ-ი ყადიმს" („ძველი მოწოდება").[3]

ვ. ივანოვის შეფასებით, ჰასან იბნ საბაჰი `იყო ექსტრაორდინარული და ტალანტის მქონე ადამიანი, დაბადებული ლიდერად, რომელმაც შეძლო თითქმის შეუძლებელი _ მან მორჩილი და მშვიდობიანი ირანელი გლეხები შეუპოვარ მებრძოლებად აქცია."[4]

ალამუთის ისმაილიტთა სექტა საიდუმლო ორგანიზაციას წარმოადგენდა, სადაც რკინისებური დისციპლინა იყო. ნებისმიერი ისმაილიტი უსიტყვოდ ემორჩილებოდა და ასრულებდა „მთის უხუცესის" (ჰასან იბნ-საბაჰის) ბრძანებას. ისმაილიტების იერარქიის უმაღლეს საფეხურზე იდგა იმამი, რომელსაც მოსდევდა ჰუჯათი, შემდეგ კი და'ი. იერარქიის წევრთა მნიშვნელობა მათი იმამთან სიახლოვით იზომებოდა.[5]

ნიზარიტებისათვის დამახასიათებელი იყო ტერორი. ჯერ კიდევ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების დროს ევროპელებმა ისმაილიტებს მკვლელების სექტა შეარქვეს.

XVIII საუკუნის II ნახევრიდან ევროპულ ისტორიოგრაფიაში ისმაილიტებს ტერორისტების სექტად მიიჩნევდნენ. მხოლოდ XX საუკუნის 50-იან წლებში ამერიკელმა მეცნიერმა ჰოდგსონმა გამოაქვე-

---

خراسانی فداءی، مسکو، ۱۹۵۹

1 Строева, Л. В., Государства Исмаилитов в Иране в XI-XIII вв., გვ. 65-66; თ. ნატროშვილი, ისმაილიტთა მოძრაობის ისტორიიდან, საქ სსრ მეცნ. აკად. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1977, №2, გვ. 65 (გვ. 64-74); გ. სანიკიძე, ისმაილიანთა იმამათის დოქტრინა და მისი პოლიტიკური ასპექტები, გვ. 88;

۹۱, کتاب بهدایت المؤمنین الطالبان معروف بتأریخ اسمعیلیه، تألیف محمد بد زین العابدین خراسانی، مسکو، ۱۹۵۹ فداءی، გვ.

2 Kalami Pir, A Treahise on Ismaili Doctrine also (Wrongly) Called Haft-Babi Shah Sayyid Nasir, Ed. in General Persian and Transl. into English by W. Ivanow, Bombay, 1935, gv. XXVIII

3 გ. სანიკიძე, ისმაილიანთა იმამათის დოქტრინა..., გვ. 97; Аш-Шахристани, Книга о религиях и сектах, перевод с арабского введения и комментарий С. М. Прозорова, М., 1984, გვ. 172

4 Ivanow, W., Brief Survey of the Evolution of Ismailism, B-7, Leiden, 1952, gv. 17

5 გ. სანიკიძე, ისმაილიანთა იმამათის დოქტრინა და მისი პოლიტიკური ასპექტები, გვ. 93; Hodgson M. C. S. The Order of the Assassins, Struggle of the early Nizari Ismailis against the Islamic world, University of chicago, 1955, გვ. 21.

ყნა მონოგრაფია ისმაილიტების შესახებ, რომელიც თავისუფალი იყო ყოველგვარი ლეგენდისგან.[1]

იმის გამო, რომ ისინი თავიანთ მსხვერპლს ჰაშიშით თრობის მდგომარეობაში კლავდნენ, ისმაილიტებს „ჰაშიშინები“ უწოდეს და ეს სიტყვა „ასასინის“ ფორმით მთელ რიგ ევროპულ ენებში მკვლელის მნიშვნელობით შევიდა. ირანში მათ ალ-მალაჰიდა (ალ-მულ-ჰიდ) ეწოდებოდა, რაც ერეტიკოსს, სარწმუნოებიდან განდგომილს ნიშნავს. [2]

მარკო პოლოს გადმოცემით, იბნ საბაჰი კონკრეტული პირის მოსაკლავად ფიდაებს (ფიდაი – არაბ. „ადამიანი, რომელიც მზადაა თავგანწირვისთვის“) შორეულ ქვეყნებშიც კი აგზავნიდა.[3] თუ ფიდაის დავალების შესრულების შემდეგ შეიპყრობდნენ, იგი თავს იკლავდა, ხოლო გადარჩენილები ალამუთში ბრუნდებოდნენ, სადაც მათ პატივსაცემად რამდენიმე დღიანი ზეიმი იმართებოდა.[4] იყო შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ჩადენისას ფიდაები შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ხდებოდა, როგორც მათი გასამართლება და ფეთვის საფუძველზე დასჯა, ისე ადგილზე ლიკვიდაცია.

ისმაილიტთა მკვლელობის მეთოდებზე წყაროებსა და ისტორიოგრაფიაში ერთი აზრი არ არსებობს. ნაწილს მიაჩნია, რომ ასასინები მკვლელობებს აუცილებლად საჯაროდ სჩადიოდნენ, ნაწილი კი თვლის, რომ მკვლელობები ჩუმად და მიპარვით ხდებოდა. თუმცა, თუ წყაროთა მონაცემებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ისმაილიტებს მკვლელობის ერთი, კონკრეტული მეთოდი არ ჰქონიათ. მაგალითად, სირიელი ისმაილიტები მსხვერპლს აუცილებლად საჯაროდ კლავდნენ, რითაც მოწინააღმდეგეებში დაუცველობისა და შიშის სინდრომს თესავდნენ, ხოლო ირანელი ასასინები, განსაკუთრებით ისფაჰანელები, სიტუაციიდან გამომდინარე, იყენებდნენ მკვლელობის როგორც ფარულ, ისე საჯარო მეთოდს. როგორც ლ. სტროევა აღნიშნავს, ალამუთის ისმაილიტები მკვლელობებს გეგმავდნენ საიდუმლოდ, ხოლო ახორციელებდნენ საჯაროდ,[5] რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან ჟამთააღმწერლის ცნობით, ალამუ-

1 Hodgson M. G. S., The Order of Assassins, The Struggle of the Early Nizari Ismailis against the Islamic World, The Hague, 1955.

2 კაციტაძე, დ. ირანის ისტორია, თბ., 2009, გვ. 208-209; გ. სანიკიძე, ისმაილიტები, ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999, გვ. 103-104; სტროევა, გვ. 154; Поло Марко, Книга Марко Поло, Пер. старофранцузского текста И.П. Минаева, Ред. и вступт. ст. И.П. Магидовича, М., 1956, გვ. 70-72
https://www.google.com/search?q=iis.+ac.+uk/eu/research/encyclopedia-contributions/assassin&spell=1&sa=X&ved=2ahUKEwiGhK7mn8HuAhWiyoUKHes5BCkQBSgAegQIBhAu&biw=1366&bih=625- ბოლო ნახვა-29/01/2021; https://www.iis.ac.uk/academic-article/ismailis-history-ბოლო ნახვა-29/01/2021.

3 სტროევა, გვ. 154; Поло Марко, Книга Марко Поло, Пер. старофранцузского текста И.П. Минаева, Ред. и вступт. ст. И.П. Магидовича, М., 1956, გვ. 70-72 .

4 Поло Марко, Книга Марко Поло, გვ. 72.

5 Строева Л. В., Государства Исмаилитов в Иране в XI-XIII вв., Москва, გვ. 97.

თის ალყის დროს ჩაღათა ნოინი საკუთარ კარავში ასაინმა მაშინ მოკლა, როდესაც იგი მარტო იყო. ქართველი მემატიანე ასევე აღნიშნავს, რომ ისმაილიტები თავიანთ მსხვერპლს მიპარვით კლავდნენ.[1]

ირანში სელჩუკები ისმაილიტებს დაუნდობლად ებრძოდნენ. XI ს. 90-იანი წლებიდან მალიქ-შაჰისა და ნიზამ ულ-მულქის ბრძანებით ჰასან იბნ საბაჰის შესაპყრობად არაერთი ღონისძიება გატარდა, თუმცა უშედეგოდ.[2]

ისმაილიტებმა სელჩუკებში დიდი შიში და აგრესია გამოიწვიეს. ნიზამ ულ-მულქი სავსებით ობიექტურად აფასებდა მათგან მომდინარე საფრთხეებს. მისი ნაშრომის –„სიასათ-ნამეს“ ერთი თავი „ერეტიკოსთა საქმეების გამოსააშკარავებლად, რომლებიც შაჰისა და ისლამის მტრები არიან,“ მთლიანად ისმაილიტებს, მათგან მომდინარე რეალურ საფრთხეებს მიეძღვნა. ნიზამ ულ-მულქი აღნიშნავს, რომ „არ არსებობს ადამიანთა არც ერთი კატეგორია იმაზე უფრო ბოროტმოქმედნი, უფრო ცუდმორწმუნენი, უფრო დამნაშავენი, ვიდრე ადამიანთა ეს ჯგუფია. ... ისინი ფარულად მტრობენ სახელმწიფოს, ცდილობენ ზიანი მიაყენონ სარწმუნოებას. ისინი უსმენენ ყოველ ბგერას, აკვირდებიან თვალის ყოველ დახამხამებას, თუ დაიწყება აჯანყება, ეს ძაღლები გამოვლენ საიდუმლო სამალავებიდან და აღდგებიან სახელმწიფოს წინააღმდეგ, მოუწოდებენ ხალხს დაუმორჩილებლობისაკენ, ... და მოხდება ყველაფერი, რაც კი შეიძლება, რომ მოხდეს: განხეთქილება, ჩხუბი, ერესი. ისინი არაფერს დატოვებენ, მათზე უარესი არავინაა ქვეყნიერების მმართველისათვის.“[3] ნიზამ ულ-მულქის ამ სიტყვებში კარგად ჩანს ის შიში და რისკები, რაც ისმაილიტებს სელჩუკთა მმართველობისთვის შეეძლოთ მოეტანათ.

ისმაილიტებისადმი ასეთი რადიკალური დამოკიდებულების გამო, 1092 წლის 16 ოქტომბერს, ჰამადანში ისმაილიტმა აბუ თაჰირ არრანიმ, რომელიც იფთარის შემდეგ თავის ჰარემისკენ მიმავალ ნიზამ ულ-მულქს თითქოს მოწყალების სათხოვნელად მიუახლოვდა, იგი დანით მოკლა და გაქცევა სცადა. აბუ თაჰირ არრანი დაიჭირეს და ადგილზე მოკლეს.[4] ოცი დღის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა მალიქ-შაჰიც, რომლის მოწამვლაშიც ასასინები დაადანაშაულეს. მალიქ-შაჰის სიკვდილმა სელჩუკთა სახელმწიფოში არეულობა გამოიწვია. ცენტრალურ ხელისუფლებას ისმაილიტე-

1 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959, გვ. 208.

2 Строева Л. В., Государства Исмаилитов в Иране в XI-XIII вв., გვ. 70.

3 Низам ал-Мульк, Сиасат-намэ, Книга о правлении Вазира XI столетия Низама ал-Мулька, Пер., введение в изучение памятника и примечания, рпоф. Б. Н. Заходера, М-Л., 1949, gv. 188-189; stroeva, dasax. naSr. gv. 62.

4 რაშიდ ად-დინი, გვ. 110; სტროევა, გვ. 71.

ბისთვის აღარ ეცალა.[1]

ისმაილიტების ანტისელჩუკურმა პოლიტიკამ თავისკენ მიიმხრო სელჩუკებისადმი მტრულად განწყობილი ირანული ბიუროკრატია.[2] ისმაილიტებისადმი ლოიალური განწყობა შეინიშნებოდა ისფაჰანის უმაღლეს სასულიერო პირებშიც. როგორც იბნ ალ-ასირი აღნიშნავს, ზოგიერთი ისფაჰანელი ფაკიჰი მათ სიკვდილით დასჯას მხარს არ უჭერდა, ზოგიც ყოყმანობდა.[3]

ვრცელია ისმაილიტთა მიერ ჩადენილი მკვლელობების გეოგრაფიული არეალი – ამული, მერვი, რეი, სერახსი, ნიშაბური, მარაღა, თავრიზი, ისფაჰანი, ჰამადანი, პროვინციები: ხორეზმი, ქერმანი, ტაბარისტანი, ჯურჯანი (//გორგანი) ირანის საზღვრებს გარეთ ბაღდადი, მოსული, თბილისი, კაირო და სირიის ქალაქები.[4]

ისმაილიტთა სამი მმართველის დროს (ჰასან იბნ საბაჰი (1090-1124) _ 49 კაცი, ქიია ბუზურგ უმიდი (1124-1138) _ 12 კაცი, მუჰამედ იბნ კიია ბუზურგ უმიდი (1138-1162) _ 14 კაცი, სულ 72 წლის მანძილზე ისმაილიტთა ინდივიდუალურ ტერორს 75 კაცის სიცოცხლე შეეწირა. მსხვერპლთა სიაში არიან მაღალი სამოხელეო ადმინისტრაციული, სამხედრო, სამოქალაქო და სასულიერო პირები – ხალიფები, სულტნები, ფადიშაჰები, ემირები, ვაზირები, სპასალარები, ვალიები, ჰაქიმები, რაისები, მუსტოუფი, მუფთი, ყადიები, სჯულის მეცნიერები, ისმაილიტებმა სელჩუკთა ექვსი ვაზირი მოკლეს.[5] მათ მოკლეს თითქმის ყველა ყადი და მუფთი, რომლებმაც ისმაილიტები გასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს, მათ შორის იყო ჰერათის ყადი _ აბუ საიდ ხერევი (1132 წ.), რომელსაც `აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყადის~ ტიტული ჰქონდა. XIII საუკუნის მეორე ნახევარში ბაღდადში თავდასხმა მოხდა ისტორიკოს ჯუვეინზე. იგი მძიმედ დაჭრეს. მიზეზი ის იყო, რომ მან არა მხოლოდ გადაწვა ალამუთის ცნობილი ბიბლიოთეკა, ასევე თავის ნაშრომში აშკარა მტრობას გამოხატავდა ისმაილიტების მიმართ.[6]

გვინდა შევეხოთ ისმაილიტთა მოძრაობის სოციალურ ბუნებას. ამ საკითხით არაერთი მკვლევარი დაინტერესდა. იქიდან გამომდინარე, რომ ისმაილიტი დაიები ძირითადად ხელოსნები, გლეხები და ვაჭრები იყვნენ, ლ. სტროევას მიაჩნია, რომ მათი მოძრაობა მთლიანად ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა.[7] სტროევას მოსა-

1 Строева Л. В., Государства Исмаилитов в Иране в XI-XIII вв., გვ. 68.

2 სტროევა, გვ. 135-136.

3 იბნ ალ-ასირი, ტ. X, გვ. 301 ვციტირებ - სტროევა, დასახ. ნაშრ. გვ. 83.

4 სტროევა, დასახ. ნაშრ. გვ. 152.

5 სტროევა, დასახ. ნაშრ. გვ. 148-149; დ. კაციტაძე, ირანის ისტორია, III-XVIII სს., თბ., „ჰოროსი XXI," 2009, გვ. 209.

6 სტროევა, დასახ. ნაშრ. გვ. 149; Персидские источники по истории туркмен и Турктении,т. 1, VII-XV вв. Арабские и персидские источники, Под ред. С. Л. Волина, А. А. Ромаскевича и А. Ю. Якубовского. – ТИВАН, XXIX, М.-Л., 1939, gv. 151.

7 Строева Л. В., Государство Исмаилитов В Иране в XI-XIII вв. М., 1978, გვ. 30-33, 106, 108,

ზრებას ნაწილობრივ არ ეთანხმება ვ. გაბაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ჰასან იბნ-საბაჰის უმაღლესი პოლიტიკური მიზანი და მისწრაფება – თურქ-სელჩუკიანთა სახელმწიფოს დამხობა, არ უნდა გავაიგივოთ ფეოდალური წყობილების დამხობის წადილთან“ და დასძენს, რომ ისმაილიტთა ზედაფენამ სოციალური დემაგოგიის საშუალებით წვრილი ვაჭრები და ხელოსნები თავის გარშემო დარაზმა.[1]

ზოგადად, საბჭოთა ისტორიოგრაფია, საკუთარი იდეოლოგიიდან გამომდინარე, ყველა მოვლენას სოციალურ ჭრილში განიხილავდა და მათ მხოლოდ სოციალურ ფენებს შორის დაპირისპირების მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს, რეალურად, იყო საბჭოთა პოლიტიკით ნაკარნახევი თეორია, რომელიც მეცნიერებს ამგვარი დასკვნების გაკეთებისკენ უბიძგებდა.

აღმოსავლურ წყაროთა მონაცემებზე დაკვირვების შედეგად მიგვაჩნია, რომ ისმაილიტთა მოძრაობა ირანში იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა თურქ-სელჩუკთა ბატონობის წინააღმდეგ. მათი მიმდევრების ძირითად მასას ხელოსნები და გლეხები იმიტომ წარმოადგენდნენ, რომ ირანული არისტოკრატია თურქ-სელჩუკების სამსახურში იყო. ანტისელჩუკური პოზიციის დიდებულებს კი ფარული კავშირი ჰქონდათ ისმაილიტებთან და სელჩუკებს ებრძოდნენ. ჰასან იბნ-საბაჰის და ქიია ბუზურგ უმიდის დროს ნიზარიტობა, ირანელთა ერთგვარ ეროვნულ და რელიგიურ ინდიკატორს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ისმაილიტების მოძრაობის ცალსახად სოციალურ მოვლენად გამოცხადება მართებულად არ მიგვაჩნია.

რაშიდ ად-დინის გადმოცემით, ჰასან იბნ-საბაჰის მმართველობის დასასრულს (გარდ. 1124 წ.) ისმაილიტთა მოძრაობა გააქტიურდა ერაყში, აზერბაიჯანში, ხორასანში, მაზანდარანში, გილანსა და გურჯისტანში.[2] როგორც სამართლიანად აღნიშნავს თ. ნატროშვილი, ალამუთის ისმაილიტთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება საქართველოში დავით აღმაშენებლის მეფობას ემთხვევა და ცხადია, საქართველოში მათი საქმიანობის შესახებ ეცოდინებოდათ, თუმცა ამ პერიოდის ქართული წყაროები არაფერს წერენ.[3] თ. ნატროშვილს მიაჩნია, რომ საქართველოში მულიდთა გააქტიურება დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის შემოერთებას მოჰყვა.[4] მეცნიერი აღნიშნავს, რომ „... საქართველოს მეფეს სელჩუკიან სულტნებზე

136.

1 ვ. გაბაშვილი, სოციალური მოძრაობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში (IX-XIII სს.), ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს ისტორიის საკითხები, სტატიების კრებული, I. თბ. 2016, გვ. 145 (გვ. 130-147).

2 რაშიდ ად-დინი, გვ. 55 ციტირებ – თ. ნატროშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 69.

3 თ. ნატროშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 68-69.

4 თ. ნატროშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 69.

არანაკლები გულმოდგინებით უნდა დაეცვა თბილისის მაჰმადიანური მოსახლეობის ინტერესები მულიდთა საფრთხისაგან და აღეკვეთა მათი პროპაგანდა თუ ტერორი. გარდა ამისა, ქვეშევრდომნი, რომლებიც ემორჩილებოდნენ არა ადგილობრივ ხელისუფლებას, არამედ ალამუთის სახელმწიფოს მბრძანებელს, არასასურველ ქვეშევრდომებად ჩაითვლებოდნენ. ... ქართული ფეოდალური საზოგადოება, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა მეამბოხეთა ორგანიზაციის ქსელს საქართველოს სამეფოში. თავის მხრივ, ისმაილიტთა მოძრაობის შინაარსი ფაქტობრივად გამორიცხავდა კომპრომისს რომელიმე ხელისუფლებასთან, მაჰმადიანური იქნებოდა ის თუ ქრისტიანული. ცხადია, მულიდებისათვისაც მიუღებელი იქნებოდა ქართველ მეფეთა მტკიცე ხელისუფლების დამყარება თბილისში."[1] გამოთქმული მოსაზრება სავსებით მისაღებია, თუმცა აქვე უნდა დავამატოთ, რომ თბილისში ისმაილიტები მხოლოდ პოლიტიკური ფაქტორით არ უნდა გააქტიურებულიყვნენ. როგორც მომდევნო პერიოდის მოვლენებიდან ჩანს, ისმაილიტებს თბილისში სუნიტ სამღვდელოებასთან ჰქონდათ დაპირისპირება, რადგან ისინი ამ უკანასკნელებს, როგორც ერეტიკოსებს, დევნიდნენ.

XII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ისმაილიტების სექტის არსებობა დასტურდება თბილისშიც. რაშიდ ად-დინის ცნობით, თბილისელმა ასასინმა – ისმაილიტმა იბრაჰიმ დამღანიმ 1138/39 წ. (ჰიჯრ. 533 წ.) თბილისის ყადი მოკლა, რადგან მან თბილისში ისმაილიტებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.[2]

ის ფაქტი, რომ რაშიდ ად-დინი ისმაილიტთა სექტის წარმომადგენელს, რომლის ნისბაც „დამღანია" (დამღანელი), თბილისელად მოიხსენიებს, მის ადგილობრივ მუსლიმთა თემისადმი კუთვნილებაზე მიანიშნებს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ დამღანელი ისმაილიტი თბილისში დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა. იგი ალამუთიდან თბილისში გამოგზავნილი დაი იყო, რომელიც აქ ნიზარიტულ მოძღვრებას ქადაგებდა. იქიდან გამომდინარე, რომ ისმაილიტთა სახელმწიფო გეოგრაფიულად საქართველოდან არც თუ შორს მდებარეობდა, როგორც ჩანს, მათმა აგიტატორებმა – დაიებმა თბილისში ნიზარიტთა მოძრაობის დაწყებიდან მალევე შემოაღწიეს და ადგილობრივ მუსლიმებში მიმდევრებიც გაიჩინეს.

ქართული და სპარსული წყაროები არ საუბრობენ ისმაილიტების (ნიზარიტების) მიერ თბილისში ჩადენილი დანაშაულების შესახებ. თუმცა, ცხადია, რომ ასასინები, მათთვის დამახასიათებელი მეთოდებით, მკვლელობების ჩადენით მოქმედებდნენ.

1 თ. ნატროშვილი, ისმაილიტთა მოძრაობის ისტორიიდან, გვ. 69.

2 Jami Al-Tawarikh, part of the Ismailis History by Rashid ad-Din Fadl Allah, Persian text of VIII-th Century A.H., ed., by M. T. Danesh Pajuh and M. Modaresy, Tehran, 1960, გვ. 87 – ციტირებ თ. ნატროშვილის სტატიიდან „ისმაილიტთა მოძრაობის ისტორიიდან, გვ. 69.

ცნობილია, რომ დემეტრე I-ის დროს თბილისელი მუსლიმები თავს დაცულად და მშვიდად გრძნობდნენ. ამ დროს თბილისის მუსლიმებში წამყვანი მიმდინარეობა სუნიტური ისლამის ჰანაფიტური ისლამი იყო. სუნიტები კი ისმაილიტებს ერეტიკოსებად მიიჩნევდნენ და ებრძოდნენ მათ. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო თბილისელი სუნიტებისა და ისმაილიტების დაპირისპირების მიზეზი. ის ფაქტი, რომ აღმოსავლური წყაროები თბილისში პოლიტიკური პირების მკვლელობის შესახებ არაფერს ამბობენ, იმაზე მეტყველებს, რომ ალამუთელ ნიზარიტებს დაპირისპირება ჰქონდათ თბილისელ სუნიტებთან და არა საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს რაშიდ ად-დინთან დაცული ცნობა, რომელიც ალამუთის მესამე მმართველის – მუჰამმად ბუზურგ უმიდის დროს (1138-1162 წწ.) ქართველებსა და ისმაილიტებს შორის დაპირისპირებაზე მიგვითითებს.

რაშიდ ად-დინი წერს, რომ 1142 წ. თებერვალში ისმაილიტებმა დეშთე-დეილემანზე (გილანი) ლაშქრობისას დაიკავეს მუბარაქ-ქუჰის ციხე-სიმაგრე და ააგეს კიდევ ერთი ციხე, რომლის სახელსაც ისტორიკოსი არ ასახელებს. ამის შემდეგ ისმაილიტებმა თავიანთი დარტყმა მიმართეს გურჯისტანზე. ისმაილიტებმა მათ (ქართველების – ხ. ბ.) ციხეს (არ ასახელებს – ხ. ბ.) ალყა შემოარტყეს. „გურჯიების საქმე გართულდა." ალყაში მყოფთა შორის არ იყო ერთიანობა. მათმა გარკვეულმა ნაწილმა ისმაილიტებთან შებრძოლებას მათ მხარეზე გადასვლა არჩია. ალყაში მყოფთა სათავეში ორი ძმა იდგა – ემირ ტ(თ)არასფ იბნ მელიქშაჰ გურჯანი და მისი ძმა გურშასფი. პირველი მათგანი ისმაილიტების მხარეს გადავიდა და სიცოცხლე შეუნარჩუნდა, ხოლო „გურშასფის საქმე იქამდე მივიდა, რომ იოტისოდენა იმედიც არ დარჩა." მოგვიანებით იგი ისმაილიტებმა მოკლეს. ლაშქრობა იმით დასრულდა, რომ რაფიყებმა (ირანელი ისმაილიტები – ხ. ბ.) ააგეს მორ-ქუჰის ციხე, რომელსაც ასევე მუბარაჰ-ქუჰიც უწოდეს. „რაფიყებმა, როგორც კი გურჯიების საქმე დაასრულეს, ალამუთში დაბრუნდნენ."[1]

რაშიდ ად-დინის მიერ გადმოცემული ეს ფაქტი საქართველოში დემეტრე I-ის მეფობას ემთხვევა (1125-1156 წწ). იქიდან გამომდინარე, რომ დემეტრე I-ის შესახებ ქართული წყაროებში მწირი ინფორმაცია გვაქვს, ლოგიკურია, რომ ეს ფაქტიც არსად დაფიქსირებული არაა. რაშიდ ად-დინზე დაყრდნობით შესაძლებელია ქართველებსა და ალამუთელებს შორის არსებული კონფრონტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტის აღდგენა. რაშიდ ად-დინის ეს ცნობა აჩვენებს, თუ რამდენად ახლოს იყო ისმაილიტთა სახელმწიფოს საზღვრები საქართველოსთან და სად იკვეთებოდა მათი ტერიტორიული ინტერესები.

1 რაშიდ ად-დინი, გვ. 148 – ციტირებ – სტროევა, დასახ. ნაშრ. გვ. 139-140.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ზუსტად არ ვიცით კონკრეტულად რომელ ტერიტორიას გულისხმობს რაშიდ ად-დინი, სადაც ქართველებსა და ისმაილიტებს შორის მოხდა დაპირისპირება, მიგვაჩნია, რომ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ პროვინციებს უნდა გულისხმობდეს, რადგან სწორედ ამ მიწების სიახლოვეს იყო დეილემანისა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორია.

ცალკე შევეხებით ირანელი ისმაილიტების შესახებ ქართულ წყაროებში არსებულ ინფორმაციას. ცნობები მწირია, თუმცა მათი მონაცემები ცხადად ასახავენ ისმაილიტების პოლიტიკურ, რელიგიურ და სოციალურ აქტივობებს, როგორც ირანის, ისე კავკასიის და მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე. ისევე, როგორც აღმოსავლური, ქართული წყაროებიც ნათლად გამოხატავენ იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკური, რელიგიური და სამეცნიერო საზოგადოების დამოკიდებულებას ასასინთა ტერორისტული იდეოლოგიისა და ზოგადად, მათი სახელმწიფოს შესახებ.

მულიდებს ქართულ წყაროებში პირველად „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მოიხსენიებს. თამარის პირველი ისტორიკოსი 1191 წელს ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ილდეღიზიანთა ფეოდალური სამთავროს მმართველის – მუზაფერ ად-დინ ყიზილ არსლანის[1] (1186-1191) გარდაცვალების შესახებ წერს, „ამას ჟამსა შინა მოიკლა ყიზილ-არსლან ათაბაგი, და აწ გასულტნებული, მუჰლიდთა მიერ.“[2] ფაქტთან დაკავშირებით იმავეს წერს მირხონდიც,[3] ხოლო რაშიდ ად-დინი აღნიშნავს, რომ მკვლელების ვინაობა ვერ დაადგინესო.[4]

როგორც ჩანს, ისმაილიტების შელახულ რეპუტაციას კარგად იყენებდნენ მათი ოპონენტები. სავარაუდოა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მომხდარი მკვლელობების კვალის არევის მიზნით, ჩადენილი დანაშაული მულიდებისთვის დაუბრალებიათ.

შემდეგი ქართული წყარო, რომელიც ირანელი ისმაილიტებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ გვაწვდის ცნობას, არის ჟამთააღმწერელი. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველი მემატიანე საუბრობს ალამუთის წინააღმდეგ მონღოლთა ბრძოლის შესახებ, რომელიც შვიდი წელი გაგრძელდა და რომელშიც ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ. 1246 წლი-

1 ირ. ჯალაღანია, ილდეღიზიდები, სეა, 5, თბ., 1980, გვ. 106; ნ. შენგელია, საქართველოს საგარეო ურთიერთობანი თამარის მეფობაში, სინ, IV, თბ., 1979, გვ. 321.

2 ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959, გვ. 62.

3 ირ. ჯალაღანია, ილდეღიზიდები, ქსეა, 5, თბ., 1980, გვ. 106; როუზათ ას-საფა, IV, თეირანი, 1960, გვ. 605 – ციტირებ, თ. ნატროშვილი, ისმაილიტთა მოძრაობის ისტორიიდან, მაცნე, 2, 1975, გვ. 70;
بیرنیا، حسن.، اشتیانی، عباس اقبال. ۱۹٦٤. تاریخ ایران قبل از اسلام بعد از اسلام.تهران. کتابخانه ملی ایران. გვ. 328.

4 თ. ნატროშვილი, ისმაილიტთა მოძრაობის ისტორიიდან, მაცნე, 2, 1975, გვ. 75.

დან მონღოლთა მიერ დაწესებული მუდმივი სამხედრო სამსახური ქართველებს მათ ლაშქრობებში მონაწილეობას ავალდებულებდა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ქართული ლაშქარი მონღოლებმა ორად გაყვეს. ლაშქრის ერთი ნახევარი ექვსი თვის მანძილზე ალამუთის ალყაში იღებდა მონაწილეობას, ხოლო შემდეგი ექვსი თვე ქართული ლაშქრის მეორე ნაწილი იდგა ალამუთის ციხესთან. საქართველოს მთელი სამხედრო რესურსი ისმაილიტების წინააღმდეგ საბრძოლველად იყო მობილიზებული. ჟამთააღმწელის ცნობით, მონღოლები „... წარვიდეს ბრძოლად ალამუთს, და ქართველნი თანა-წარიტანეს, რომელნი განიყვეს ორად: ნახევარი ერთსა წელსა, და ნახევარი ერთსა წელსა იყვნიან ალამუთს. რამეთუ შჳდ წელ განგრძელდა ბრძოლა ალამუთისი, რომელნი არიან კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან."[1]

ალამუთის ალყის დროს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ჩაღათა ნოინი. ქართული წყაროს ცნობით, იგი ასასინმა მოკლა. ჟამთააღმწერელი დაწვრილებით გადმოგვცემს მომხდარს, რადგან ნოინის მკვლელობაში მონღოლების მხრიდან ეჭვმიტანილები ქართველები იყვნენ. „დღესა ერთსა წარმოგზავნეს ალამუთელთა მულიდი ჴელოვანი, მივიდა ღამით და შემოეპარა მცველთა ჩაღატა ნოინისათა, შევიდა კარავსა მისსა, მძინარესა დასდვა დანა გულსა მისსა და მოკლა იგი, რომელ ვერავინ ცნა."[2] მომხდარზე რაშიდ ად-დინიც წერს. იგი აღნიშნავს, რომ ჩაღათა-ნოინს ერეტიკოსმა ისმაილიტებმა დანით ყელი გამოჭრესო, თუმცა არ წერს, ეს სად მოხდა. არც ჟამთააღმწერელი და არც რაშიდ ად-დინი ჩაღათა ნოინის მკვლელობის წელს არ უთითებენ.[3]

ჟამთააღმწერლის მიხედვით, მონღოლებმა ჩაღათა ნოინის მოკვლის ეჭვი ქართველებზე იმიტომ მიიტანეს, რომ ისინი ჩაღატას ბანაკთან ახლოს იყვნენ დაბანაკებულები.[4] პასუხისმგებლობასაც მათ დააკისრებდნენ, რომ არა მულიდის აღიარება. ჟამთააღმწერლის ცნობით „... გამოვიდა კაცი ერთი ლერწმოანით, რომელსა აქუნდა ლახუარი წუდილი, შეღებილი სისხლითა. და ლახუარი იგი აღიპყრა ზე, და ძლიერად ჴმა ყო: „მან ქუშტემ ჩაღატა," რომელ არს სპარსულითა, „მე მოვკალ ჩაღატა." ამის შემდეგ იგი ისევ ლერწმოვანში შევარდა თავის გადასარჩენად.[5] მონღოლებმა ის კაცი შეიპყრეს და მკვლელობის აღიარების მიზეზი ჰკითხეს. მან განაცხადა, „მე ვარ

1 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959, გვ. 208.

2 ჟამთააღმწერელი, გვ. 208.

۳ Рашид ад-Дин, ١٩٤٦ Сборник Летописей, I, кн. первая, перевод с персидского Л. А. Хетагурова, Релакция и примечания А. А. Семенова, Москва-Ленинград: Академия Наук СССР, გვ. ١٠٠; ჰულაგუს მიერ ალამუტის აღების შესახებ – بیرنیا، حسن.، اشتیانی، عباس اقبال. تاریخ ایران قبل از اسلام بعد از اسلام.تهران. کتابخانه ملی ایران. ١٩٦٤. გვ. ٤١٨-٤١٤.

4 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 209.

5 ჟამთააღმწერელი, გვ. 210.

მულიდი, მულიდთა შორის საჩინო. მათ მულიდთა თავადთა მომცეს ოქრო ფრიადი, რათა თქუენგან ვინმე მოვაკუდინო ოთხთა მაგათგან (ჩაღათარი, ჩარმაღანი, იოსური და ბიჩუ – ხ. ბ). წარმოვედ მოვკალ და დავიმალე."[1] სამალავიდან გამოსვლის მიზეზად კი მულიდმა სიზმრად ნანახი ქალი დაასახელა, რომელმაც უთხრა, რომ თუ მკვლელობას არ აღიარებდა, უამრავი უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაიღვრებოდა. ქართველებმა ეს ქალი ღვთისმშობლად აღიქვეს, რადგან სწორედ მას და მაცხოვარს შესთხოვეს დახმარება, რომ ამ დანაშაულის გამო ტყუილად არ დასჯილიყვნენ.[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული და სპარსული წყაროები ჩაღათა ნოინის მკვლელობის თარიღს არ უთითებენ. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ რაშიდ ად-დინი, რომელიც 1256 წ. ალამუთის ციხის აღებასა და ისმაილიტთა სახელმწიფოს განადგურებას ნაშრომის ცალკე თავში გადმოსცემს და დეტალურად აღწერს მიმდინარე მოვლენებს, ამ ფაქტის შესახებ არაფერს წერს.[3]

ჟამთააღმწერლის ცნობა ცხადად აჩვენებს იმ ინფორმაციულობას, რაც ქართველებს ისმაილიტთა ორდენის მიმართ ჰქონდათ: ქართველები ნიზარიტებს სპარსულის გავლენით მულიდებად მოიხსენიებენ (მულიდი არაბული ტერმინია და სარწმუნოებისაგან განდგომილს, ერეტიკოსს ნიშნავს. მულიდებს ირანელ ნაზარტებს უწოდებდნენ.[4] რაშიდ ად-დინიც ისმაილიტებს ერეტიკოსებად მოიხსენიებს[5]). ჟამთააღმწერელი ისმაილიტებს ალამუთელებსაც[6] უწოდებს. ისტორიკოსმა იცის მათ მიერ ჩადენილი მკვლელობების ტაქტიკა – მიპარვით მისვლა.

დავუბრუნდეთ ჩაღატა ნოინის მკვლელობის ფაქტს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ნარატივი გარკვეულ ეჭვს იწვევს, რადგან ალამუთიდან გამოგზავნილი „მულიდი ჴელოვანი" და „მულიდთა შორის საჩინო", როგორც იგი თავის თავს უწოდებს, დავალების შესრულების შემდეგ ალამუთში დაბრუნების ან საერთოდ გაქცევის ნაცვლად, იქვე, ლერწმოვანში დაიმალა. შემდეგ, მულიდმა განაცხადა, რომ ისმაილიტებმა ჩაღათას მოკვლისთვის მას დიდძალი ოქრო გადაუხადეს; ჩადენილი მკვლელობის აღიარების შემდეგ კი, ისევ ლერწმოვანში სცადა დამალვა. და ბოლოს, იგი ამ აღიარების მიზეზად სიზმარში ნანახ ქალს ასახელებს.

1 ჟამთააღმწერელი, გვ. 210.

2 ჟამთააღმწერელი, გვ. 210-211.

3 Рашид ад-Дин. 1946. Сборник Летописей. т. III. Перевод с персидского А. К. Арендса. Редакция и примечания А. А. Ромаскевича. Е.Э. Бертельса и А.Ю. Якубовского. Москва-Ленинград: Академия Наук СССР, გვ. 28-32.

4 გ. სანიკიძე, ისმაილიტები, ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, გვ. 104.

5 Рашид ад-Дин. 1946. Сборник Летописей. т. III. Перевод с персидского А. К. Арендса. Редакция и примечания А. А. Ромаскевича. Е.Э. Бертельса и А.Ю. Якубовского. Москва-Ленинград: Академия Наук СССР, გვ. 28-32.

6 ჟამთააღმწერელი, გვ. 211.

ისმაილიტთა ისტორიიდან ცნობილია, რომ ნიზარიტები დავალებაზე წასულ ფიდაის გასამრჯელოს არ უხდიდნენ. მით უფრო, დიდძალ ოქროს არ აძლევდნენ, რადგან მას დავალების უსიტყვო შესრულებას მათი კანონი და რწმენა ავალდებულებდა; ასასინისთვის მთავარი ავტორიტეტი იმამი და ჰუჯათი იყო. იგი სიზმარში ნანახი ქალის შეგონებას ყურადღებას არ მიაქცევდა; ასევე, ასასინისთვის არალოგიკური საქციელია დანაშაულის ჯერ აღიარება, შემდეგ თავის გადასარჩენად დამალვა.

ჟამთააღმწერელი წერს, რომ „ვითარ ესმა სიტყუა კაცისა მისგან თათართა, განკჳრდეს და კაცი ესე მულიდი ჴრმლითა ორად განკუეთეს.[1] ანუ, მონღოლებში ეს გაოცება იმ შეუსაბამობამ გამოიწვია, რაც ამ კაცის საქციელსა და ისმაილიტთა დოქტრინას შორის არსებობდა.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, ჩნდება კითხვა – მონღოლი ყაენის მკვლელობა მართლა ქართველების მოწყობილი ხომ არ იყო და სხვას გადაუხადეს დიდძალი ოქრო, რომ ჩაღათას მკვლელობა თავის თავზე აეღო? რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველები სასტიკად დაისჯებოდნენ. ხოლო მიზეზი, თუ რატომ უნდა მოეკლათ ქართველებს ჩაღათა ნოინი იყო ის, რომ ჟამთააღმწერლის ცნობით, ქართველები ალამუთელებთან ბრძოლით ძალიან შეწუხებულები იყვნენ: „...ქართველნი დიდსა ჭირსა შინა იყვნეს თათართა (მონღოლთა – ხ. ბ.) მიერ, რამეთუ მიმდები და მოუწყინებელი ბრძოლა აქუნდა ალამუთელთა მიმართ...“. [2]

კოხტასთავის აჯანყების (1246 ან 1247 წწ.) ერთ-ერთი მიზეზი ჟამთააღმწერლის ცნობით, ალამუთის წინააღმდეგ მონღოლთა გაჭიანურებულ ბრძოლებში ქართველების მონაწილეობა იყო – „... ვერ წინააღუდგებით თათართა. და იგინი ბოროტად გუაჭირვებენ ესე ოდენ, რომელ ყოველთა წელთა ალამუთს წარვალთ ჭირითა და ყოველთა ღუაწლთა შემთხუევად. არა არს ღონე, დაღათუ უმეფო ვართ, არამედ შევკრბეთ ყოველნი, და ვბრძოდით თათართა.“[3] როგორც ბ. ლომინაძე აღნიშნავს, „გასაკვირიც არ არის, რომ ქართველთა აჯანყების უშუალო საბაბიც სწორედ ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა გახდა. ქართველებს ალამუთზე ლაშქრობის წინ დაუსკვნიათ მონღოლებთან შებრძოლება, რადგან ალამუთზე ლაშქრობას დიდად შეუვიწროებია ისინი“. [4]

ისმაილიტების წინააღმდეგ მონღოლთა მიერ მოწყობილ სამხედრო ექსპედიციებზე ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „არამედ რა განგრძელდა ლაშკრობა ალამუთელთა, წარავლინა ულუ-ყეენმან

1 ჟამთააღმწერელი, გვ. 211.
2 ჟამთააღმწერელი, გვ. 211.
3 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 215.
4 ბ. ლომინაძე, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40-XIV ს. 10-იან წწ.) სინ. III, გვ. 554, 569.

ლაშკარნი და ლაშას ძე დავით მათ თანა. ... გარნა მარადის იყვიან დავით და ნარინ დავით მეფენი წინაშე ულუ-ყეენისა“. [1] (ქართველები დავით ულუს სარდლობით ასევე მონაწილეობას იღებდნენ 1258 წ. 10 თებერვალს ბაღდადის აღებაში, და 1259 წ. ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ ბრძოლაშიც). მონღოლთა მიერ დაწესებულმა აუტანელმა გადასახადებმა და სამხედრო ბეგარამ განაპირობა მათ წინააღმდეგ აჯანყებები (დავით ნარინის აჯანყება – 1259 წ. ზაფხულში, 1260-1261 წწ. დავით ულუს აჯანყების მიზეზი კი ეგვიპტეზე ლაშქრობა გახდა[2]).

ამდენად, შექმნილი ვითარება და განვითარებული პროცესები სრულად არ გამორიცხავს ქართველების მიერ ჩაღათა ნოინის მოკვლის ეჭვს.

ამრიგად, XI საუკუნის ბოლოდან თბილისში ისმაილიტთა უკიდურესი მიმდინარეობის – ნიზარიტების სექტის წარმომადგენლები ჩნდებიან. მათი გააქტიურება XII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ხდება. მულიდების მიერ თბილისში ჩადენილი მკვლელობები მიმართული იყო სუნიტი სასულიერო პირების მიმართ. ირკვევა, რომ სუნიტების მიერ ერესად გამოცხადებულ ისმაილიზმს თბილისში ძლიერი მუსლიმური ოპოზიცია ჰყავდა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო თბილისელი სუნიტებისა და ისმაილიტების დაპირისპირების მიზეზი.

ქართველებსა და ალამუთელებს შორის 1142 წლის ახლო ხანებში არსებული კონფრონტაცია ცხადად აჩვენებს, თუ რამდენად ახლოს იყო ისმაილიტთა სახელმწიფოს საზღვრები საქართველოსთან და სად იკვეთებოდა მათი ტერიტორიული ინტერესები.

ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ ჟამთააღმწერლთან დაცულ ცნობაზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ისმაილიტების ქცევის კოდექსთან. აქედან გამომდინარე, ჩნდება ფრთხილი ვარაუდი, რომ შესაძლოა, მონღოლი ყაენის მკვლელობა მართლა ქართველების მოწყობილი ყოფილიყო. რის შემდეგაც სხვას გადაუხადეს დიდძალი ოქრო, რომ ჩაღათას მკვლელობა თავის თავზე აეღო, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქართველები სასტიკად დაისჯებოდნენ.

1 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 213.
2 ბ.ლომინაძე, დასახ. ნაშრ. სინ, IV, გვ. 570-571.